№ 169 აგვისტო 8, ოთხშაბათი 1890 აგვისტო 8, ოთხშაბათი № 169

| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ანონსი

ამ ცოტა ხანში ტფილისში ჩამოვა სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში ხუთის წარმოდგენის გასამართავად გამოჩენილ მალოროსიულ და რუსულ ლილიპუტების დასი —ჯუჯა და ქონდრის კაცებისა. (3—2)

ტფილისი, 7 აგვისტო

ადვილად ასაკინძი და გამოსარკვევი არ არის იგი საოცარი, დაუჯერებელი ამბები, რაც არჩევანის შემდეგ ქუთაისის ბანკში მოხდა და რამაც ისეთ ნაირად არია და აჰიჭყუნა საქმე, რომ ბანკს თითქმის ორმოს უთხრის გადასაჩეხად და ისინი-კი, ვისის მოწყალებით ამ განსაცდელში ჩავარდა ბანკი, მარტო იმის ცილობაში არიან—დრამატიკა მე უფრო უკეთ ვიცი, თუ თქვენაო. ამ ამბებში ბევრი რამ სასაცილოა, რომ ასე სამწუხარო არ იყოს, რადგანაც აქ საზოგადო საქმეა ჩარეული, ბევრი რამ მეტია, ბევრი რამ მარტო ენის ქავილისაგან არის ცუდ-უბრალოდ ჩართული და უფრო უხეირო და ფეხ-მოკლე ფანდებსა ჰგავს, ვიდრე პატიოსანს სურვილს საქმის ახსნისას, საქმის დახსნისას განსაცდელისაგან.

ყოველი იმას, რაც ამ ამბებში მეტია და ცუდ-უბრალოდ მიდებ-მოდებული, რომ ყური ვათხოვოთ, გვეგონებათ განგებ დანაძლევებულან, საქმე ისეთს კვამლსა და მჭვარტლში გაჰხვიონ, რომ მისი არც თავი სჩანდეს, არც ბოლო. არსებითი დედა-გული საქმისა ბნელ კუთხეში მიაგდეს, ადამიანის სალს თვალს მიუმალეს და ეხლა „მე თუ შენაობის“ საქანელაზე ჰქანაობენ და „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ს ხმაზე ბუქნას უვლიან. საზოგადოება უყურებს და ჰკვირობს,—ეს რა ამბავი ეწვია, ეს რა ხათაბალაში გაება ბანკის საქმე, ადამიანის გონება თავის კოჭაკებს მოსწყდა და თავდაყირა დაეკიდა, თუ სხვა რამ ღვთის წყრომაა ჩვენზე მოვლენილიო.

თითონ დედა-გული, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ძირი საქმისა მეტად საზადა და ურთული, მეტად ადვილად დასანახია მთელის მისის სიგძე-სიგანით, თუ ჩამოვაცლით ყოველ იმას, რაც მეტია და რაც უფრო მიდებ-მოდებასა და გაძვრენ-გამოძვრენის ფანდებსა ჰგავს, ვიდრე საქმის თვალ-საჩენად დაყენებას.

19-ს მაისს ქუთაისის ბანკის კრებამ გაათავა თავისი საქმეები და დაიშალა. თანახმად არჩევანისა, ძველი თავმჯდომარე გამგეობისა გადადგა და ახალმა დაიჭირა თავისი თანამდებობა. ორი ახლად ამორჩეული წევრი ზედამხედველ კამიტეტისაც თავ-თავის ადგილას დასხდნენ. ყოველ ამის მნახველს კაცს ეგონება, რომ საქმე ჰქლამის თავის ჯეროვანს გზაზედ დადგომასა და სვლასაო. 29 მაისამდე ეგრეც იყო. ხოლო ამ დღეს ზედამხედველ კამიტეტს მიერთვა არზა, ექვსის კაცისაგან ხელ-მოწერილი. ჩვენ ამ არზის საგანს მოკლედ მოვიხსენიებთ, მით უფრო, რომ აქ ამ არზას დიდი მნიშვნელობა არა აქვს და თუ საჭიროდ დავინახეთ მისი ხსენება, მარტო იმისათვის, რომ იგი ტყუილ-უბრალოდ ხელზე დაიხვიეს და ჰსურთ საბუთად გამოიყენონ.

ამ არზაში სწერია, რომ გთხოვთ შემდეგი გარემოებანი შეამოწმოთ და შემოწმების ასლი (კოპიო) მოგვცეთო: 1) რომ დღეს აქამომდე არც ერთი განაჩენი კრებისა არ არის დაწერილი და სიგელში მოქცეული, 2) რომ არც ერთი რწმუნების წერილი არ იყო წარდგენილი გამგეობაში სამის დღის წინად კრების დაწყებამდე, როგორც წესდება ჰთხოულობსო, 3) რომ თავმჯდომარემ კრებისამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რწმუნების წერილები გარჩეულნი და შემოწმებულნი არ არიანო, და მაინც ეს წერილები ამოქმედაო, 4) რომ დანიშნულ საათზე ადრე თავმჯდომარემ მოახდინა კრებაო. ბოლოს მოარზენი ითხოვენ, რომ თუ ყოველივე ეს მართალი აღმოჩნდა, ზედამხედველი კამიტეტი მოვალეა ყოფილი საზოგადო კრება განონიერად არ იცნოს და ყოველი მისი განაჩენი გააუქმოს და ახალი კრება მოიწვიოსო.

30-ს მაისს, ესე იგი, ამ არზის მეორე დღეს ზედამხედველ კამიტეტს დაუდგენია, ხსენებულ არზაში მოხსენებული გარემოებანი გამოირკვეს და „вопросъ оставить открытымъ до слѣдующаго собранія комитета“. 31-ს მაისს იმავ მოარზეთა შეუტანიათ კამიტეტში სხვა ახალი არზა და უთქვამთ, რომ ჩვენი წინანდელი საჩივარი შეეხება მარტო იმ განაჩენებს კრებისას და არჩევანს, რომელნიც კენჭის ყრით გადასწყდაო.

2-ს თიბათვეს შეურიგა ზედამხედველი კამიტეტი, ხელ-ახლად მოუსმენია თვის თავმჯდომარისაგან მოხსენება იმ არზების თაობაზე, რომელიც ექვსმა კაცმა წარუდგინა 29 და 31-ს მაისს, და დაუდგენია: გადისინჯოს ყველა რაც რწმუნების წერილები იყო წარდგენილი წლევანდელ კრებაში для обнаруженія правильности полномочій, მიენდოს ეს საქმე კამიტეტის წევრს ან. ნ. ლორთქიფანიძეს, ეთხოვოს დაუხანებლივ შეუდგეს ამ შრომას და რაც აღმოჩნდება, მოახსენოს კამიტეტსა. მთელს კრებას კამიტეტისას, ექვსის წევრისაგან შემდგარს, ხელი უწერია ამ განაჩენზე უარის უთქმელად და მაშასადამე, უეჭველია, ყოველის წევრის აზრი და სურვილი ესა ყოფილა.

ბ-ნი ლორთქიფანიძე შესდგომია თვისდა მინდობილ საქმეს და 5 ივნისს გადუცია კიდეც გამგეობისათვის კამიტეტის განაჩენი 2 ივნისისა, მაგრამ, როგორცა სჩანს, გამგეობას არ დაუნებებია რწმუნების წერილები. საქმის სისრულისათვის საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ 6-ს ივნისს შეუტანია ქაღალდი გამგეობაში 125 კაცს, რომელნიც ამბობენ, რომ ჩვენ შევიტყეთ, ვითომც კამიტეტს მიუღია თავის თავზე უფლება განიკითხოს მოქმედება უკანასკნელის კრებისა, რომელიც უმაღლესი ორგანოა და არ ექვემდებარება მისგანვე დაყენებულ ზედამხედველ კამიტეტის ზედამხედველობას, ამიტომ ვიწვევთ გამგეობას წესდება არავის დაარღვევინოს და უფლება საზოგადო კრებისა ხელ-შეუხებელ ჰყოს. ეს ჩვენი განცხადება ეუწყოს კამიტეტსა და თუ იგი მაინც თავის მინდობილობის საზღვარს გადავა, ყოველივე მოხსენდეს საზოგადო კრებასაო.

7 ივნისს ახალს თავმჯდომარეს ბ-ნ ჩიკვაიძეს მოუხსენებია გამგეობისათვის ბ-ნ ლორთქიფანის მინდობილობაცა და ზემოხსენებული განცხადებაც 125 კაცისა და გამგეობას დაუდგენია, რომ რადგანაც ეს ორი ქაღალდი ისე მჭიდროდ დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, რომ საგანი პირველისა არ უნდა იქმნას გადაწყვეტილი, ვიდრე გამგეობას არ ეცოდინება რას იტყვის კამიტეტი მეორე ქაღალდის გამო, ამიტომ აღსრულება იმისი, რაც ბ-ნ ლორთქიფანიძემ ითხოვა, დარჩეს სამერმისოდ (оставить открытымъ) და ასლი ამ განაჩენისა გადაეცეს კამიტეტს ხსენებულ ქაღალდებთან ერთად.

11 ივნისს თავმჯდომარეს კამიტეტისას მოუხსენებია, რომ გა-

## ფელეტონი

### მოგონება

IV*)

მოსვლის უმალვე, სოსანამ ხენეშით მოიხადა ჩვენს გვერდით წალმის გუდურა, ხელით მოიწურა შუბლიდამ ოფლი, იდაყვ-დაყრდობილი მიუჯდა წალამს და მოხდენილად წარმოსთქვა წარბ-შეკრულმა:

სოსანა. ვაჰ, გატიალდი, სოფელო, ვერაგო, ავის მყოფელო! არა, ჩემს გაჩენაში ღმერთი არა რეულა, მაგრამ გული-კი ფოლადისა, სწორედ პატალო-ფოლადისა მოუცია ი დალოცვილს. ვერა, ვერ გასტეხ, სისაწყლევ, შენ ჩემს გულს სალა-კლდიანსა; ვერც შენ შემხუთავ, ვარამო, სულს პირის ამტანს, ჰკვიანსა: ჩალად მიმაჩნის სუყველა, მივყვები გზასა ღვთიანსა, მოვკვდები, ლოცვაკურთხევით დამმარხვენ პირ-ნათლიანსა!

— არ იქნა, მოგიარეს კიდე ჰვინტაკებმა? რეებსა ჰჯიყჯიყებ და ჰყიპყიპებ მა ყელში?—ჰკითხა ერთმა ჩვენთაგანმა სკოლელმა. სოსანას სიბრაზის ალმური აედინა სახეზე.

სოსანა. ღმერთმა ნუ იცის თქვენი ალოღლეტია ოსტატის თავ-ტანი! ნულნულავ, ჩხებიანო! ნულნულავ, შე გაჩენა ძაღლო! ეი! არ გესმის? დათვო! ბანჯღვლიანო დათვო! რა სალაფავ-ნაჭამ ლორივით სული გაგინაბამ, შე სულ-გასაქრობო! მკვახემკვახეებს შეჰკადრილე ამ მუტრუკებს და ვირებსა, რომ წიხლებს ველარ ისრონ გულისა გასაგმირებსა, თორე, გამჩენის მადლმა, მოუკლავი არ გადამრჩები: გუდათ გაგაძრობ და იგრე გაგტენავ ლახოსტაკით, რო დრეკა აღარა გქონდეს! გესმის თუ არა?

სოსანა მრისხანედ უბრიალებდა თვალებს ნულნულას და პასუხს ელოდა, მაგრამ ნულნულამ ყურიც არ ათხოვა; ან-კი რა იმისი ყურის გდებისა-ღა სცხელოდა, როდესაც კაცს თავისი თავში საცემი ჰქონდა: იმათს მრევლში ერთიც არავინ იყო მომაკვდავი ავადმყოფი და არც საიდამ ნათლობას და ნიშნობას მოელოდა. დავუძლურდი ბოზბაშისთვის, განკურნება არსით არისო,—ნულნულა სულ ამას ჩიოდა და ტიროდა თავის გულში. ცოტა ხან სიჩუმე ჩამოვარდა, და ბოლოს ყველამ იქით ვაცქვიტეთ ყურები და თვალები, საიდამაც ჩვენის სოფლის მეთხე ციკას მოწეველე თხის ფარა მოუდიოდა კაკლების ჩრდილში ასაგრილებლად. ციკა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ლამაზ თვალტანადი ბიჭი იყო. იგი მხარზე კოხტად კავ-გადებული და მხარ-იღლივ თოფ ჩამოკიდებული მოსდევდა ჰრელის თხების ფარას და ტკბილის ხმით მომღეროდა:

> ნეტავი, გოგო შენი ხმა
> ავადმყოფს გამაგონაო,
> ტუჩი-ტუჩს დამადებინა,
> ძუძუებს ჩამაგონაო!
> მალ-მალე მოდი ჩემთანა,
> შენც ობოლი ხარ, მეცაო,
> ძუძუებს ხელის ჩაყოფვა
> შენც გიამება, მეცაო.

ციკა. გამარჯვება თქვენი, კაცებო!

სოსანა. გაგიმარჯოს ღმერთმა, ციკავ!

ციკა კოხტად დაებჯინა კავს, თხები ჩრდილში დაწვნენ და სანდომიანად იცოხნებოდნენ.

ნულნულა. ციკავ! ე გუდაში პირის გასაცმაცუნებელი გექნება-რამ, ამოიღე, დამპატიჟე.

სოსანა. აი ქრიჰტემ ამოაგდოს შენი ბანჯღვლიანი თავი, რო სუ ჰამაზე გიჭირამ თვალი ქალი-მგელივით.

ციკა. შენ ე დიაკვნების აბიდის მიცემა რატო იცი, შე დალუპილო, ჰა? რაც უნდა იყოს, მაინც წიგნის კაცია და ალათ გვეკუთნის. ვირი რო ბატონათა გყვანდეს, ჰაჩის ნუ ჰკადრებო, ეს მაინც არ გაგიგონია?

სოსანა. გამიგონია, მაგრამ ღმერთმა დიაკვნებში გამოარჩიოს ამისი პირტოყი გოგრა, კაი სამგლე დიაკვანი ეს არი: სუ ლომხალივით აურივ-დაურივა ი საწყალ ლედელს სალმთო-წერილები. ერთხელ...

ნულნულა. დაილუპე აქედააამ!.. გისწავლია ე სამჰადაურო ყბედობა და...

სოსანა. დამაცა, მუდრეგო, დამაცა, მათქმევინე და მერე შენა თქვი. ჰო, ერთხელ წირვაზე ვიდექით. გამოვიდა საკურთხევლიდამ შემოსილი მღვდელი, გადასხნა წიგნი, საცა ნულნულას დაენიშნა, და მოაყოლა: „სთქვა უფალმა, სთქვა უფალმა, სთქვა უფალმა სთქვა უფალმა“... „რა თქვა უფალმა, მამაო, რაი“?—დაიძახა ვილაცა მოთმინებიდამ გამოსულმა. „ღმერთმა რო ამოაგდოს ჩემი უტვინო ნულნულა დიაკვნის თავ-ტანიო“! შეჰყვირა გაბრაზებულმა მღვდელმა და მთელი ხალხი სიცილით დაიხოცა. თურმე ნულნულას სხვა ადგილას დაენიშნა წიგნი. აბა, მოდი შენ-და ამათ პატიოსნება სთხოვე: შემოსილი მღვდელი რო იგრე სიბრაზისაგან კბილებს იმტვრევდეს და იწყევლებოდეს ი საყდარში, ერის კაცმა რაღა უნდა ქნას საყდარ-გარეთ! ამათ როგორ უნდა გაგვილვიძონ სასოება და ღვთის სიყვარული?! ხიდ ქვეშ, ხიდ ქვეშ იყვენენ ამათთანა ღვთის მცნების მქადაგებელი—სამგლე ღვდელ-დიაკვნები!

სკოლის ბიჭები სიცილით ვიჭაჭებოდით.

ნულნულა. დაიკარგე აქედააამ!..

სოსანა. დაიკარგე და დაიმარხე—თუ კარგია! რა ცეცხლივით მოგედევა მა გულყიაზე და ძაღლივით გული ყელში მოგებჯინა, პირში თქმისათვის გეჯავრები განა?! რათა, შვილოსა, რაც მართალია—მართალია, სისწორე ღმერთსაც უყვარს და კაცსაც. თაფლის ენა და ძაღლის გული არცა მქონია და ღმერთმა ნურც მომცეს: პირში თქმა მიყვარს, პირში! მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს პირს უკანო, გამოიფხიკე ე ვირის ყურები და დაარიგე ი შენი ჰკვა-ნაკლული წვერცამეტაც, რო ჰკვაზე მოვიდეს. შე ოხერო, თუ აქიმი გძულს, თავის გაფთხილება უნდა გიყვარდეს. და თუ ლანძღვა გეუკადრისება, სალანძღავ საქმეს უნდა ერიდებოდე. გაიგე, რა ვთქვი?

ნულნულა. ქვეყანა მაშინ წახდაო, დათვი რო საძაღლეთ გახდაო. რატო ღმერთი არ გაიცინებს, რო შენისთანა ლოპოსტაწი ოტროველა-ბრიყვები ჩემს მღვდელზედაც-კი ლაპარაკობენ!

*) იხ. „ივერია“ № 166 167 და 169.

მგეობამ არ შეასრულა განაჩენი გამიტეტისა და არ დაანება ბ-ნ ლორთქიფანიძეს რწმუნების წერილებიო. ამის გამო გამიტეტმა დაადგინა ხელ-ახლად მოეთხოვოს გამგეობას სამის დღის განმავლობაში შეასრულოს განაჩენი კამიტეტისა 2 ივნისისა და იმის შესახებ-კი, რომ ამ აუსრულებლობის უადგილო მიზეზი უჩვენებია გამგეობას თავის 7 ივნისის განაჩენში, ცალკე ვიქონიოთ სჯაო. ამ ხანად ხუთის წევრისაგან სამს ერთ-ხმობით მოუწერია ხელი ამ განაჩენისათვის და ორს-კი განაჩენზე დაუწერია, რომ ამას წინად კამიტეტმა მოისურვა რა გადახილვა რწმუნების წერილებისა, სახეში უმთავრესად ისა ჰქონდათ, რომ შეიტყოს საქმის ვითარება და შემდეგისათვის რაიმე წესი გამოარკვიოს იმ ბოროტ-მოქმედების თავიდამ ასაცილებლად, რომელიც აწ არსებულ წესს—რწმუნების წერილობით ვექილობას მოსდევსო. ის-კი,—შეუდგება თუ არა კამიტეტი აღმოჩენილ საბუთების ძალით წლევანდელ კრების განაჩენების გაუქმებას, განუსჯელი და გადაუწყვეტელი დარჩაო. ამიტომ და იმის გამოც, რომ საქმემ ასეთი მიმართულება მიიღო, ამბობს ამის დამწერი წევრი ბ-ნი ლოლუა: აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნიაო: 1) ეხლავ გადაწყდეს,—კამიტეტი სცნობს თავის თავს იმ უფლების მქონებლად, რომ განიკითხოს და გააუქმოს საზოგადო კრების განაჩენები და 2) შეუდგეს და გადიხილოს რწმუნების წერილები და მთელი მოწარმოება საქმეთა ბანკის დაარსების დღიდამ აქამომდე. ამას ხელს აწერს წევრი კამიტეტისა ბ-ნი ლოლუა და წევრივე ბ-ნი ჯორჯიკია, რომელიც ამბობს, თანახმა ვარ ბ-ნ ლოლუას აზრისაო.

21 ივნისს ზედამხედველ კამიტეტმა, მოისმინა რა მოხსენება თავის თავმჯდომარისა მასზე, რომ დღეს აქამომდე გამგეობა ბანკისა არ ასრულებს კამიტეტის განაჩენებს 2 და 11 ივნისისას, დაადგინა: წესდების (§ 78, მუხლი 15) ძალით აღძრას საქმე შესახებ გამგეობის წევრთა და მის თავმჯდომარის პასუხის-გებისა, ამ უკანასკნელთ მოეთხოვოს პასუხი და ამისათვის ორი დღე ვადა მიეცეთ იმ დროიდამ, როცა ამის განაჩენს მიიღებენ *).

გამგეობამ 25 ივნისს თავისი პასუხი წარუდგინა კამიტეტსა და ამ პასუხის შედეგი ის იყო, რომ კამიტეტმა 3 ივლისს განაჩინა გადაყენებულ იქმნას გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ჩიკვაიძე თანამდებობისაგან, ეს განაჩენი წარედგინოს განსასჯელად საგანგებო საზოგადო კრებას, რომლის მოსაწვევად დაინიშნოს 2 სექტემბერი, და დანარჩენ წევრთა პასუხის-გების საქმე გაუქმდეს. ამ განაჩენზე ორს წევრს ხელი მოუწერია და არა ჩაურთავს-რა, სამს დანარჩენთ წევრთა შორის ერთს ჩაუწერია, მე ჩემს ცალკე აზრზე ვდგევარ შესახებ გამგეობის თავმჯდომარის პასუხის-გებისა და სასჯელისაო, ორს-კი მოკლედ დაუწერიათ: ჩვენ ცალკე აზრისანი ვართო.

16 ივლისს წევრმა კამიტეტისამ ბ-ნ ლოლუამ კამიტეტში განცხადება შეიტანა და სხვათა შორის ამბობს, რომ კამიტეტის უკანასკნელ კრებაზე ოთხი სხვა-და-სხვა აზრი შესდგა შესახებ გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნ ჩიკვაიძის პასუხის-გებისა და მაშასადამე ამის შესახები განაჩენი ხმის უმეტესობით არ არის დადგენილიო. ამის გამო მე ჩემის მხრით საჭიროდ ვრაცხ იგი განაჩენი ხელ-ახლად გასინჯულ იქმნასო.

*) ამ 21 ივნისვე კამიტეტში შეიტანეს ახალი არზა, 50 კაცისაგან ხელ-მოწერილი, ხოლო ამ არზას არ ვიხსენიებთ, რადგანაც საქმის გამოსარკვევად არაფრად საჭიროა, თუმცა სათვალავში-კი ჩასაგდებია იმის მაგალითად თუ—რა ცუდ-უბრალოდ იხარჯება მელანი და ქაღალდი.

ჩვენ ჯერ ხანად ამაზე შევწყვეტთ ჩვენს საუბარს. მართალია, ყოველივე ეს, რაც აქ მოვიყვანეთ, წასაკითხად და მოსასმენად მოსაწყენია, მაგრამ მეტის-მეტად საყურადღებო მაგალითი-კია იმისი თუ,—რა გზით შესაძლოა მარტივი, ადვილად დასანახი და გასათავებელი საქმე კაცმა აჰჩიჩქნოს და ცუდ-უბრალოდ გააჭიანუროს.

## ახალი ამბავი

*** ქუთაისი: გუშინ, 2 აგვისტოს, 11 საათზედ, როცა ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკში გაცხარებული მუშაობა იყო და ხალხიც მრავალი, შემოვიდა სათავად-აზნაურო ბანკის ახალი თავმჯდომარე ბ-ნი კალისტრატე ჩიკვაიძე და აღელვებულის ხმით შესძახა ბ-ნ კირილე ლორთქიფანიძეს:

— წაიკითხეთ ის დეპეშა, რომელიც „Нов. Обоз."-შია თქვენის სახელით დაბეჭდილი?

— წავიკითხე.

— მერე თანახმა ხართ იმისი?

— სრულიადაც არა.

— მაშ გთხოვთ, რომ იმავე გაზეთში უარ-ჰყოთ.

— ეგ რა ჩემი საქმეა. „Нов. Обоз."-ის რედაქციის ბრალია და იმასვე მიჰმართეთ და სთხოვეთ, რომ უარ-ჰყოს.

აი საქმე რაშია: 30 წარსულს თთვეს ქუთაისში მეჯლისით იდღესასწაულეს დ. ჩუბინაშვილის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეი. ამ სადილზე დაესწრო ბევრი ხალხი ყოველ წოდებისა. ამ საზოგადოებაში ერია თვით ბ-ნი კალისტრატეც.

პირველად, რასაკვირველია, დალიეს თვით მეიუბილეიეს ბ-ნ ჩუბინაშვილის სადღეგრძელო და დეპეშაც გაუგზავნეს. შემდეგ დალიეს სადღეგრძელო სადილზე არ-დამსწრეთა და ყველასაგან პატივცემულ კაცთა: მაგალითად, ბ-ნთ აკ. წერეთლისა, ს. წერეთლისა. ნ. ნიკოლაძისა და ლ. ასათიანისა. ამათთანაც შესთხზა დეპეშა ბ-ნმა კირილე ლორთქიფანიძემ ნიკოლაძის სახელზე და გაუგზავნა. აი ეს დეპეშა: „ბ-ნ ჩუბინაშვილის თაყვანის-მცემელთა და მოწაფეთ, რომელნიც შეკრებილნი არიან იმის საიუბილეიო სადილზედ, მოიგონეს აქ არ დამსწრენი და არა მყოფნიც და დალიეს სადღეგრძელო ბ-ნ აკ. წერეთლისა, ს. წერეთლისა, ნ. ნიკოლაძისა და ლ. ასათიანმა". ეს დეპეშა ბ-ნმა კირილე ლორთქიფანიძემ ხმა-მაღლა წაიკითხა სადილზედ, მაგრამ მაშინ არავის არა სწყენია. „Нов. Обоз."-ემ ეს დეპეშა დაჰბეჭდა და თან დასძინა: აი რა პატივსა სცემს ქუთაისის საზოგადოება კალისტრატე ჩიკვაიძის მოპირისპირეთა და მებრძოლთა მეთაურებსაო. ამ დამატების უარ-ყოფასა სთხოვდა ბ-ნი ჩიკვაიძე ლორთქიფანიძეს და როცა ბ-ნმა ლორთქიფანიძემ უპასუხა, რომ ეგ მე არ შემეხება და რედაქციის საქმეში ვერ გავერევიო, ჩიკვაიძემ უკადრისად მოიხსენია, აქედგან შეჰყვნენ და ერთმანეთი გამოლანძღეს.

*** ფოთი, 5 აგვისტო. ამ სამ-ოთხის დღის წინად ფოთის საპყრობილეში ორ ტუსაღს, მეგრელსა და გურულს, ჩხუბი მოუვიდათ და გურულმა მეგრელი მოჰკლა ერთის მუშტის შემოკვრით. ამაზედ გამოძიება უკვე სწარმოებს. გარდაცვალებული უკვე დამარხეს.

*** სოფ. ყანდაური: ამ თთვის პირველს, დილის ცხრა საათზედ, განჩდა უეცრად ცეცხლი ჩვენს სოფელში და ოთხის კომლის ქონება იმსხვერპლა. სულ ერთიანად გადაიბუგა ამ ოთხის მოსახლის კალო, საბძელი, სახლი და მთელი ზაფხულის მოსავალი. დიდად მამაცად მოიქცნენ აქაურები მამასახლისი და ორიც კაკაბეთის ფოსტის ჩაფარი, თორემ, ესენი რომ არა ყოფილიყვნენ, სულ ცოტა, ოც და-ათის კომლის ქონებას მაინც შთანთქავდა ცეცხლი.

*** სოფ. კოდორი (სენაკის მაზრა): წარსულ ივლისის თთვეს ჩვენს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა ოზურგეთის მაზრის ნანეიშვილისეულის სოფლის მცხოვრებმა, გლეხმა გიგო თოდუამ სოფ. კოდორის გლეხ აინე ლაზარ ბზიაევას ასულზე. შემდეგ აღმოჩნდა, რომ თოდუას ერთი კანონიერი ცოლი ჰყოლია და ეს აიანე მეორედ შეურთავს. ამის გამო ჯვარის დამწერმა მღვდელმა ნესტორ ქვანიამ კვლავ გამოიძია და განიხილა თოდუას მიერ წარმოდგენილი მოწმობა და დარწმუნდა, რომ ეს მოწმობა ყალბი ყოფილა რადგან ის ადგილები, სადაც აღნიშნულია სახელი თოდუასი და თარიღი მოწმობის შედგენისა, ცხადად ეტყობა, რომ ამოფხეკილია და შემდეგ სხვა სიტყვებია ჩამატებული.

*** ზაქათალის ოლქის სოფ. თალაში 29 ივლისს ცოფიანს მგელს გაზ. „ახ. მიმოხ." სიტყვით 10 კაცი დაუგლეჯია. საღამოს 9—10 საათი ყოფილა, როდესაც მგელი შევარდნილა სოფელში. საკვირველი ის არის, რომ მგელს ათი სახლი შემოურბენია და ყველგან თითო დაუგლეჯია. მეათე სახლში რომ შესულა, მაშინ ძლივს მოუკლავთ. დაკბენილი 7 კაცია, 3 დედაკაცი. ადმინისტრაციის განკარგულებით ყველა დაკბენილი ზაქათალაში წაეყვანათ მკურნალებთან და იქიდგან ტფილისში აპირობდნენ თურმე გამოგზავნას საბაქტრეოლოგიო სადგურზე ცოფის ასაცრელად, მაგრამ ყველა დაკბენილს ცრუ-მორწმუნოების გამო უარი გაუცხადებია, ჩვენ თავს ჩვენვე მოუვლითო.

*** ზანგეზურში შემდეგი ახირებული ამბავი მომხდარა: ამას წინად სოფ. დიგის მახლობლად, გზის პირას, უპოვნიათ ერთის კაცის გვამი. დიგელს ქვრივს ქალს ა—ს თავისი შვილი ჰგონებია, რომელიც ბაქოში იყო თურმე წასული სამუშაოდ, შინ მიუსვენებია და მეორ-მესამე დღეს კიდეც დაუსაფლავებია. ქვრივი ჩვეულებისამებრ ძაძებით შემოსილა და გლოვა-წუხილს მისცემია. ერთს დღეს იჯდა თურმე, მწარედ მოსთქვამდა და თავ-პირს ითქვეფდა მუშ-

---

სოსანა. ბრიყვიც შენა ხარ და ლოპოსტაწიც, თორე მაგას არ წამოჰროშავდი. რა ძალიან ეფაფრები, ი შენ ავ-მუცელა და ავ-პირს მღვდელსაც ვიცნობთ, რაც კოჭიაა; ის-ის კაცია, რომელიც პირში პატიოსნებაზე ქადაგებს და პირს უკან-კი კაცს ფეხებ დააჰრის—გარეთ რო დაჰრჩეს. ჰეე, ღმერთო, რამთენ-ნაირი ხალხი გაგიჩენია, შე დალოცვილო, ყველას ადამიანი ჰქვიან, მაგრამ ყველა ადამიანი როდი ყოფილა.

ციკა. რა სამგლე გოჭიეით აჰტყდები ხოლმე, შე დალუპილო, და აღარ მოუჭერ ხოლმე მა ალვირ-წაყრილ ტარტარა ყბას. ეგ რო ჩვენმა მღვდელმა გაგიგოს, ხო მაშინვე...

სოსანა. ოჰ! ღმერთმა მაგის მეტი დარდი ნუ მომცეს! თუ გამიგოს, მე შენ გითხრა, ერთბაშად ყურებზე ხახვი-კი არ დამაჰრას და სერი არ მიყოს! მინამ ვიქნები, კაცი ვიქნები, როცა არა—და ჩემ ფეხებს! დიახ, მე არავისი მეშინიან: არა! არა!! გასწყდეს ამათი სახსენებელი, მე დიდი ხანია ესენი გულიდამ ამომირეცხნია. გამიგოს-კი არა, მოსაკლავები არიან, ამათი გაჩენის საათი-კი დაიქცეს, ამათი! რაში ვაძლევთ ი კოდი პურს, კაცო, რაში, არ-კი გვემსახურებიან წესიერად: ზიარებას რო იძახდნენ, მღვდელს ვერ იპოვნი, გულით რო ეკკლესიაში წასვლა გეწადოს, თთვეში ერთხელაც ვერ გაიგონებ ზარის ხმას, და თუ გაიგონებ—ისიც მაშინ, როცა ტაბლობის დღეა, როცა იციან, რო ამათ აღორებულ გულ-მუცელს სახეთქავს მიართმევენ, თორე განა მაშინ-კი წირვის დარდი აქვთ-რა! ურიას ერთი დღე ჰხვდა და ისიც შაბათიო, ჩვენი საქმეც ეგრეა: ნეტავი ი ტაბლობის დღეს მაინც რიგიანად კითხულობდნენ, რო გაგვეგო რამ ღვთის ბძანებიდამ; თორე ჯანი და სული გაჰვარდნოდა დანარჩომებს. დააყრიან, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჯორი წიხლებივით ცქლაფა-ცქლუფიანს ნულნულს და ეშმაკიც ვერას გაიგებს ამათი ნულნულისას, თორე ადამიანიშვილი ხო ვერას გაიგებს და ვერას! მემრე-კი დადგება ჩვენი მღვდელი დიდ-მარხვაში და გვისაყვედურებს თვალთ-მაქცობით: თქვენაო როგორი ქრისტიანები ხართო, როდესაც წირვა-ლოცვა არ გიყვართ და არ დაიარებითო. ფიეეე! წირვა-ლოცვა როგო არ გვიყვარს, შვილოსა, ძალიანაც გვიყვარს, მაგრამ რა გვინდა რო ვიაროთ, როცა თქვენი ნულნულისა არა გაგვეგება-რა?! აბა აღდგომის დღეზე ხომ, ვენაცვალე იმის მადლს, დიდი საუფლო დღე აღარა იქნება-რა და აი ამ ქრისტეს აღდგინების დღესაც-კი არ გამწირა გულმა და არ წაველ შარშან რუსის საყდარში, როცა მე თუქურმიშაში მოვეტანე, რუსის რჯული და ჩვენი რჯული ორივ ერთი რჯულია, მაგრამ რო არ მესმის იმათი წირვა-ლოცვის სიტყვები, რისთვის უნდა ვმდგარიყავ იქ დაყრუვ-ემუნჯებულ ატოცის გლახასავით?! საყდარში იმითვინ წავალ, რო ღვთის სიტყვები მოვისმინო, თორე სხვა რა დამრჩომია იქ, განა საყდარგარედ-კი ვერ შევევედრები და ვერ ვილოცავ გამჩენს-რა?! ეს ქრისტე გამწყრალები, პირიც ამათკენ და ხელიც, ქრისტიანულად-კი არ კითხულობენ დინჯად და გარკვევით, რო ხალხმა გაიგოს და ისწავლოს რამე, და წირვა-ლოცვა არ გიყვართო, თითონვე გვისაყვედურებენ თვალთ-მაქცობით და ამას-კი როდილა ფიქრობენ, რო ამის თავიდათავი მიზეზი ამათივე ნულნულა გასახმობი ენაა. აი ვინ არი საყვედურის ღირსი! არა შენა თქვი, ციკავ, თუ ღმერთი გწამს, როგორც ღვთის კაცმა: გეყურება რამე ამათი ცქლაფა-ცქლუფიანი ნულნულისა, როცა საყდარში სდგეხარ?

ციკა. მე?.. მე რა უნდა ვთქვა?.. სხვისა რა ვიცი, და მე-კი ლამაზად მეყურება, როცა ჩვენი ბართლომე დიაკვანი სეტყვასავით დააყრის ხოლმე ზედი-ზედ: „პალო შეგვი, პალო შეგვი, პალო შეგვი, პალო შეგვი!"

სოსანა. ვაცხონე შენი დედ-მამის სული! მე უნდა მეთქვა და შენ დამასწარ. ჯერ აი ამ ორათ-ორ სიტყვასაც-კი—ორი სახარება გაუწყრეს ამის ბანჯღვლიან თავ-ტანს—უფალო შეგვიწყალეს პალო შეგვიზე ასხვაფერებს და ი ზღვისოდენა საღმთო-წერილს ხომ, ღმერთმა იცის, რა დღეს აყენებს თავისი ქაჯური ნულნულით. ჭკვიანი კაცებისაგან გამიგონია: ბრძენი კაცების სიტყვაზე ძლიერი სხვა აღარა იქნება-რა ქვეყანაზეო: ჯერა თქმულა და მერე გაკეთებულაო; ქრისტე-ღმერთის ნაბძანებ სიტყვებს რო ჩვენამდინ არ მოეხწივნათ, დღესაც დათვები ვიქნებოდითო. და მართლაც ღმერთს რო გულში ჩამწდომი სუსხიანი სიტყვები არ გაეჩინა, ტყის ნადირებზე საზიზღარი ნადირები ვიქნებოდით. მაგრამ ნადირებმა შეჰჭამოს ამისი გაუგებარი ნულნულა ენა, როგორც ჩვენ ამან წირვა-ლოცვაც შეგვაძაგა და ღვის სიტყვებიც გადაგვავიწყა. არა, შე წყეულო, ჩვენ დროში ვირმაც-კი დარბაისლობა ისწავლა, და შენ-კი, არ იქმნა, შენი ცქლაფა-ცქუფიანი ნულნულიც ვერ მოიშალე, იტყვი კაცი, მდევარს იძახიან და იმიტო ეშურება და ამის გამო ამახინჯებს წარამარა ი ღვთის სიტყვებსო. აი თავი მოგიკვდეს შენ, თავი, ნულნულავ, რო იქ მკვდრებს აკლიხარ და აქ ცოცხლებს აწუხებ.

ნულნულა. რა დავაქარიეით ენა დამადგი, შე ენა გასახმობო?! არა, რა ციებ-ცხელებასავით ჩამაციედი, შე პირღრენია კოფაკო ძაღლო და მა... კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ცხვირის დაცემინებამ შეაწყვეტინა.

სოსანა. ცეცხლ-ნავთი და ზახრუყუთი მა ცხვირში!

ციკა. აი ამოგაგდოს ღმერთმა, რო სუ ჩხუბის გუნებაზე ხარ და ძაღლიეით გერევა ე გული. რას ემართლები, შე დასავსელო, რა გინდა ა კაცისაგან?

ნულნულა. ვირია და ვირულათა ლაპარაკობს, თორე სხვა რა უნდა და რა ფეხებს მომჰამს ათასიც რო ილაყლაოს წურიკა-ძაღლიეით. ვირისაგან კაცმა წიხლი არ უნდა იწყინოსო. დე, იყეფოს ავსული მკბენარიეით. ჰაგაგა, ძაღლო! შე ჩანაგო! თათა! შე მუდრეგო!

სოსანა. ჰააა!.. თავს პატიჟი დაიდე და აქ მაგისთანებს ნუ დაუკრავ, ნულნულავ, ნუ! თორე მე შენითანა ქედძაღლს ალოღლეტიას არც შრომის მოყვარე ვირს დავადარებ, არც

ტებით და აი სწორედ ამ დროს მოსვლია წერილი თავის შვილისგან, რომ მადლობა ღმერთს კარგადა ვარო. მხოლოდ მაშინ მიმხვდარა საწყალი ქერივი, რომ ტყუილ-უბრალოდ მიგლოვია, სხვისი მკვდარი გამოუტირნია, და უბრალოდ დამიხარჯავს ფულიო („ახ. მიმოხ.“)

*** აგვისტოს 6, პოლიციის პირველს ნაწილში, უნტერ-აფიცრის იოსებ ფილიპოვის 14 წლის ბავშვი თამაშობდა, ამ დროს ხელით სატარებელ პოვოსკიდგან ბოჭკა გადმოვარდა და მარჯვენა ფეხი მოსტეხა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამ თვის სამს, მეექვსე ნაწილის პოლიციის ბოქაულმა გლებოვმა შეიპყრო რაჭის მაზრის, სოფ. სავას მცხოვრებელი გლეხი გარსევან გძელიშვილი, რომელიც ციმბირში იყო გაგზავნილი სამუდამოდ საცხოვრებლად 1879 წ. პეტრუშ მაკაროვის მოკვლის გამო.

*** 5 აგვისტოს, ოდესის სასტუმროში თავი მოიწამლა მეაფთიაქეს თანაშემწემ, კარლ ვასილის ძემ ლანგემ. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

*** ამავე დღეს, დილის 10 საათზე რკინის გზაზე მომუშავენი არტემ ბეროს ძე ქცოვრელოვი, სიმონ გიორგის ძე ფურცაძე, პეტრე ანდრიას ძე შოთაშვილი და სანდრო ინოკიძე თავს დაეცნენ სპარსეთის ქვეშევრდომს ასან-ულა-მამად-ჯაფარ-ოღლის რკინის გზის ცოტა მოშორებით, დასჭრეს და 150 მან. ფული წაართვეს. დამნაშავენი შეიპყრეს და დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** პოლიციის მეოთხე ნაწილში, ამალლების ქუჩაზე, ილჩენკო ხაბლოვსკის სახლში ამ თვის 6 დილით მკურნალის გურკოს სადგურში სამართებლით თავი მოიკლა ჯარის კაცმა ხარიტონ სამარცევმა. მკურნალმა გურკომ სთქვა, რომ თავის მკვლელი ამ ბოლოს დროს ძალიან მწუხარედ და ნაღვლიანად იყოვო. თავის მოკვლის მიზეზად იმასაც ასახელებენ, რომ კვირა საღამოს წასულა საქეიფოდ და ვილაც უზნეო ქალებთანაც-კი დრო გაუტარებია. იქიდგან წამოსულს დილით უნახავს, რომ აღარც საათი აქვს გულზე და აღარც ის ოც-და-ხუთი თუმანი, რომელიც ჯიბეში ჰქონია. ეს დანაკარგი ისე დიდად სწყენია, რომ მაშინვე თავის მოკვლა განუზრახავს. პატარა ბარათი დაუდვია სტოლზედ, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩემს სიკვდილს ნურავის ნუ დააბრალებთ, მე თავად მოვიკალი თავიო.

*** 4 ამ თვისას, პოლიციის პირველს ნაწილში, არტილერიის ბალკაში, ტფილისის მცხოვრებელმა 30 წლის გასათხოვარმა ქალმა ელისაბედ დამბროვსკისამ, საკუთარს კარებ ჩაკეტილს სახლში პირსახოცით თავი ჩამოირჩო. გარდაცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს, პოლიციის მერვე ნაწილის ბოქაულმა გადააყრევინა 302 გაფუჭებული საზამთრო და 40 ნესვი.

*** პოლიციის მეოთხე ნაწილში, ბალის ქუჩაზე, თუთუნოვის სახლის ეზოდგან ოთხს ამ თვისას ოსმალოს ქვეშევრდომმა თოროზა ვართევანოვმა მოიპარა მომუშავე პოლოსა ამერგულოვის სამოვარი. დამნაშავე შეიპყრეს ნაქურდალითურთ და საპყრობილეში გაჰგზავნეს.

*** პოლიციის მერვე ნაწილში, ამ თვის 5, ღამის სამ საათზე, პოლიციის მოხელეთ რომანოვმა და მელნიკოვმა შეიპყრეს ნახიჩევნის მცხოვრებელი ყასუმ-ქერბალაი-ალი-ბაბაოღლი, რომელსაც თაყაიშვილის სახლის გაქურდვა უნდოდა. დამნაშავეს ოქმი შეუდგინეს და სასამართლოს გადასცეს.

*** ამ თვის 5, პოლიციის მესამე ნაწილში, ნახიჩევნის მცხოვრებელს კარაპეტ მალლამიანცს, რომელიც ლორის-მელიქოვის ქუჩაზე სცხოვრებს, ზუბალოვის სახლში, დაუკეტავის ყუთიდგან მოჰპარეს ცამეტი მანათი და 27 მან. ღირებული ვერცხლის ქამარი. დამნაშავე ნახიჩევნისავე მცხოვრებელი სარქის გასპაროვი და კარაპეტ მიკირტუმოვი შეიპყრეს. მონაპარი წაართვეს და პატრონს დაუბრუნეს.

*** ამავე დღეს, პოლიციის მეექვსე ნაწილში, გზა-ტკეცილის საყარაულოდგან ხეჩო ბადალოვს მოჰპარეს ყულაბიდგან 25 მან. დამნაშავე ბრავალზალის მცხოვრებელი სტეფანე სხირტლაძე შეიპყრეს.

*** 6 ამ თვისას, დიდუბეში, გლეხის მარიამ იაკოვლევის სადგურის კარები შეამტვრია იმისავე ბიძაშვილმა ვასილ იაკოვლევმა და მოჰპარა მარჯანი, 3 საჭმლისა და 6 ჩაის ვერცხლის კოვზი და ერთიც ჩაის საწური სულ 36 მან. და 70 კაპ. ღირებული. ვასილი იაკოვლევი შეიპყრეს, დანაკარგს დაძებენ.

*** ამავე დღეს ნიუ-იორკის ბაღში სენაკის მაზრის სოფ. ლეხანდრავას მცხოვრებელი მიხეილ დანელია წაეჩხუბა ტფილისის მცხოვრებელს გეურქ კირაკოზოვს და ამ ჩხუბის დროს ჯიბიდგან საათი ამოაცალა, მაგრამ მალე მოასწრო პოლიციის მოხელემ ამბროსიმოვმა და დანელიას ჯიბეში უპოვნა საათი დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღესვე, სოფ. ზადის მცხოვრებელის გამკრელიძის სადგურიდგან, როცა პატრონი სახლში არ იმყოფებოდა, სოფ. აბედატის მცხოვრებელმა არსენ სარქოამ მოიპარა ფულის ქისა, რომელშიაც 7 მან. და ორი რკინის გზის უფასო ბილეთი იყო. დამნაშავე შეიპყრეს, ბილეთები ჯიბეში უპოვეს, მხოლოდ ფული-კი აღარ აღმოაჩნდა.

# წვრილი ამბები

გერმანელებს თავი მოსწონთ, რომ გაჭიანურებულსა და ძნელად გამოსათქმელ სიტყვებს გამოვიგონებთ ხოლმეო. აი ამისი მაგალითი. ბერლინის უნივერსიტეტის მათემატიკოსთა საზოგადოებამ კომიტეტი შეადგინა შემოსავალ-გასავლის საანგარიშებლად და ამ კომიტეტს შემდეგი სახელი დაარქვა, რომელიც 47 ასოთი იწერება: Wereinseigenthums-verwaltungsdurchsichtsausschuss.

— ნებრასკაში ერთს თეატრის ანტრეპრენიორს საქმე ძლიერ ცუდად წასვლია, რადგანაც იმის პრიმადონას (უფროსი არტისტი-ქალი) თამაშობა არ მოსწონებია საზოგადოებას და ტაშის დაკვრის მაგიერ დაუშტვენია და შეურცხვენია. დაღონებულ ანტრეპრენიორს შემდეგი ხერხი მოუგონია ხალხის თეატრში მისატყუებლად. გაზეთებში გამოუცხადებია, რომ ჩემი თეატრისთვის ზანგი არტისტი ქალი მოვიწვიე, რომელსაც ძლიერ შესანიშნავი ხმა აქვს და სწორედ პატტია და პატტი, შავი ფერი რომ არა ჰქონდესო. ამ განცხადებით საზოგადოება მოტყუებულა და იმოდენა ხალხი მოსულა თეატრში, რომ ტევა აღარა ყოფილა, გაჩარხულა ანტრეპრენიორის საქმე და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩენილა, რადგან ზანგ არტისტ-ქალს კარგად შეუსრულებია თავისი როლი. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ის ვითომ ახლად მოწვეული ზანგი არტისტი-ქალი ისევ ის პრიმადონა ყოფილა, რომელსაც წინად უკიჟინეს ცუდის თამაშობისათვის; ანტრეპრენიორს თავის პრიმადონა გაუშავებია და ისე უთამაშებია სცენაზე.

— ბერლინის საერთა შორისო მკურნალთა კონგრესზედ გამოჩენილმა ბაქტერიოლოგმა რობერტ კოხმა მოხსენება წაიკითხა ერთს მის მიერ ახლად გამოგონებულს სამკურნალო საშუალებაზე. რობერტს კოხს აღმოუჩენია საშუალება, რომლის შემწეობითაც ზღვის გოჭებს ზღმურდლურა (ჭლექი) აღარ ედებათ. ამ მოხსენებამ დიდი ამბავი გამოიწვია მკურნალთა შორის, მაგრამ დაწვრილებით-კი ვერ განიხილეს ეს საგანი, რადგანაც რობერტ კოხს თავისი გამოკვლევა და მუშაობა ჯერ არ დაუმთავრებია.

— ამას წინად ნიუიორკში სიკვდილით დასაჯეს კრემლი თავის საყვარლის მოკვლისათვის. სასამართლოს გარდაწყვეტილებისამებრ კრემლს ელექტრონის შემწეობით მოუსპეს სიცოცხლე. დამნაშავეს უკანასკნელს დღემდის არ ეუბნეოდნენ, რა დღეს უნდა დაესაჯათ. სასჯელის დღეს საპატიმროს უფროსმა გააღვიძა კრემლი და უთხრა მოემზადე, დღეს უნდა დაისაჯოვო. კრემლი წამოდგა თურმე, სუფთად ჩაიცვა და ეზიარა. საპატიმროს უფროსმა კვლავ გამოუცხადა, რომ სასჯელი ეხლავე დაუყოვნებლივ უნდა შევასრულოთო. კრემლი ძლიერ მშვიდად და აუღელვებლად ისმენდა უფროსის სიტყვას. როდესაც ჰკითხეს, ხომ არაფერი არა გინდარაო, კრემლმა მშვიდადვე უპასუხა თურმე, არაფერი თქვენი სიცოცხლის მეტიო; მხოლოდ გაზეთებს ვემდური, ძლიერ უმართებლოდ მომიხსენიესო. შემდეგ ამისა ბრალდებული იმ ოთახში გაიყვანეს, სადაც უნდა დაესაჯად და სადაც 22 კაცი იყო მოწვეული მოწმად დასჯაზე დასასწრებად. კრემლის მშვიდობიანმა სახემ ისე თავზარი დასცა იქ მყოფთ, რომ ბრალმდებელს კვიმბის გულიც-კი შეუწუხდა. როცა დამნაშავე სავარძელზე დასვეს და ელექტრონის ნაკადი მიუშვეს, ყველა მაყურებელი განკალმა აიტანა და პირი უკან მიიღეს. მკურნალმა სცინკამ განუცხადა, რომ დამნაშავე უკვე მკვდარიაო, მაგრამ 3 წუთს შემდეგ კრემლს სუნთქვა შეეტყო და ამის გამო ელექტრონის ნაკადი კვლავ მოუშვეს 17 წამის განმავლობაში. მაშინ-კი სრულიად გაცივდა კრემლი. ვიდრე დასჯიდნენ, რამდენჯერმე გაელაპარაკნენ კრემლს, მაგრამ იმის მეტს, ვერას ეუბნებოდნენ: ღმერთმა გაკურთხოსო. კრემლიც სრულიად დამშვიდებული უპასუხებდა ხოლმე და მადლობას ეუბნებოდა. კრემლის დასჯის გამო გაზეთები ძლიერ ალაპარაკდნენ და ყველა იმას ამბობს, რომ ელექტრონით დასჯას ისევ თოკით ჩამოხრჩობა სჯობიანო.

# დეპეშა

4 აგვისტო

პენზა. სამხრეთ-აღმოსავლეთის სამეურნეო საზოგადოებამ, პენზისა და სარატოვის გუბერნიის იმ მემამულეთა, რომელნიც იძულებულნი არიან შემოდგომაზედ იაფ ფასად ჰყიდონ პური, და იმ მკვიდრთა დახმარების აღმოსაჩენად, რომელიც გაზაფხულზედ ძვირად ჰყიდულობს პურს, დაადგინა, რომ პენზაში უნდა დაეაარსოთ საწყობი პურისა და სხვა სოფლის ნაწარმოებისაო.

5 აგვისტო

პეტერბურგი. უმთავრესი მმართველი ფლოტისა შავისა და კასპიის ზღვის ნავთ-სადგურებისა, ვიცე-ადმირალი პეშჩუროვი, დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

გუშინ სომხის ეკკლესიის სახლში, რომელსაც ორს ზემო სართულს აღგამდენ, მასალეულობა ჩამოცვივდა ზემოდგან და 18 მუშა დააზიანა. ამათში 8 გარდაიცვალა და 10-კი მძიმედ არის დაშავებული.

გერმანიის იმპერატორის რუსეთში მოსვლის შესახებ „Journal de St.-Pétersbourg-ში“ შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: „რამდენსამე საათს შემდეგ გერმანიის იმპერატორი ესტუმრება ჩვენს უავგუსტოესს ხელმწიფეს, რომელთანაც ერთხელ უკვე იყო დარბაზად, ამ ორის წლის წინად, თავის გამეფების ერთის თვეის შემდეგ. რადგან გერმანიის იმპერატორის რუსეთში მოსვლის ამბავი საკმაოდ ადრე იყო გამოცხადებული, ამიტომ ყველა სახელმწიფო გაზეთებს

---

ერთგულ ძაღლს, და იგეთი შავი-სიტყვების წლუმპეში ამოგავლებ ჩურჩხელასავით, რო მთელმა ალაზანმაც ვეღარ გაგრეცხოს?

ნუდნუდა. მერე ე მკლავი რიდასათვის მაბია: იმთენს მოგარტყამ მაღოჯებიან ცხვირ-პირში, რო სუ ბედგახუნებული პოლოსას კუდაბზიკა ჯორივით გაყროყინებ და რათა მშობე დედილოს გაძახებინებ!

ბიჭები სიცილით ვიხოცებოდით.

ციკა. წაჰკიდე, წამკიდებელო, გაწყვიტე, ნათლი-მცემელო! რა გაჩხუბებთ, თქვე ოჯაქორებო, რა გაქვთ გასაყოფი?

სოსანა. ღმერთმა ნუ იცის ამისი ბატივით გამოტვინებული გოგრა! მოგარტყამო, იტყვი კაცი, სხვას-კი ფაფის ხელები ჰქონდეს!

ნუდნუდა. ხათაბალა ეს არ ალი! რა თვალში ამომიღო ამ თვალებ-დასათხრელმა! რა გინდა ჩემგან, სიტყვიგუდავ, არა, რა გინდა, ერთი მითხარ??

სოსანა. არაფერი, დედავ და თვალო, არაფერი. ღმერთმა უნებური ნიავიც ნუ მოგადინოს, ჩემო თაფლო და შაქარო, ოღონდ გამოგაკლოს-კი ჩვენი საყდრიდამ და იგეთი დიაკვანი მოგვივლინოს უფლის წყალობიანმა ძალმა და სახელმა, რომ იმისმა დინჯმა და გარკვეულმა კითხვამ გულში სასოება და ღვთის სიყვარული გაგვიღვიძოს, ბოროტი გვაშოროს, სული და გული დაგვიკამკამოს, გონების სიბნელე გაგვიჩირაღდნოს, სიმართლე და პატიოსნება შეგვაყვაროს, იმედდაკარგული გაიმედიანოს, უგუნური მოაჰკვიანოს, მხდალი გაალომგმიროს და ულვთო მოალვთისნიეროს. ამინ.

— ამინ! ამინ!!—უნებურად შეჰყვირეს ერთ-ხმად სკოლის ბიჭებმა და ნულნულა-კი ძირის პურივით წამოიტკრიცა სიბრაზისაგან.

ნუდნუდა. ჰაი, თქვე ვირის თავებო, თქვენა! თქვენც ა ტუტრუცანა სიტყვიგუდას აჰყოლიხართ განა?! დამაცადეთ!.. დედას გიტირებთ, იმთენს გამუშავებთ დღეს ი ვენახში კუდა-ვირივით, რო სუ ცხვირიდამ ამოგადენ მა წინ-დაუხედავ „ამინს“! მაშ რაღა კაცი ვიქნები, თუ სუ ლვინტიკები არ წამოგაყრევინოთ მეტი მუშაობით და ნაღველა არ წამოგარწყევინოთ სიქაგამოლეულებს. დამაცადეთ!..

სკოლის ბიჭებმა ხმა გავიტრუნეთ, მაგრამ სიცილს-კი ვერ ვიმაგრებდით და ვფრუტუნებდით. სოსანა და ციკა გულიანად ხარხარებდნენ, მხოლოდ ნულნულა იყო პირ-გამეხებული.

სოსანა. მოგხვდა, განა!.. გამოგძერეს ე შურიანი თვალი! ემაგრე, შვილებო, ემაგრე კვერი დამიკარით ხოლმე, სადაც მართალი ვარ. წელან მაწყენინეთ, მაგრამ ეხლა-კი გემადლიერებით.

ნუდნუდა. ემადლიერები, შენი თავის გაფხრეწამ, ვითომ არქიელს დაუკრავ შენთვის კვერი!

სოსანა. მე შენთან საქმე აღარა მაქვს: რაც საჭირო იყო, ვთქვი და ამინით დავაბოლოვე. ეხლა ციკას უნდა ველაპარაკო. შენ ის გირჩევნია, ე ბიჭები გაირეკო და წაჰშავდე იქით, საითაც შენს სულთამხუთავს გაუმგზავრებიხარ, თორე ხო იცი ი შენი ბოროტი-სული წვერ-ცამეტას ამბავი: სუ შხამათა და ნავთათ ამოგადენს ცხვირიდამ, რაც იმის მარანში მალვით პილატეს ცრემლი ჩაგიცეცხლია მა გასახეთქს მუცელში. სულ-ქვეშა თქვი, ტიკსუსუნე, დღეს რამთენი ტაქანი რუსი-სიმწვავე ჩაჰცეცხლე?

ნუდნუდა. შენ ჩემ გამგზავრებაც და რუსი-სიმწვავეს არავინა გკითხავს, ჩემი საქმისა მე ვიცი. შენ ემანდ ყბას მოუჭი და შენთვინ ეგდე ბოთეერა ძაღლივით.

სოსანა. აი ტვინის ძაფები დაგიწყდეს შენ და ჩაძვერ მიწაში შენი ქეციანი სიტყვა-პასუხით! თავში ქვა იკარ და მუცელში სამართებელი, თუ არავინა მკითხავს. დედას მოუკვდი შენ, ნულნულავ, დედას, კაი არგამოსაზრდელი შენ იმას გამოეზარდე.

ნუდნუდა. დედას მოეუკვდე, თუ დედა ვერ გიტირო, დამაცადე!..

სოსანა. ფეხები არ მომჭამო!.. რას დამაკლებ: ქვეყანაა და სამართალი. ჩემმა სიტყვებმა შეგაფუცხუნეს განა?! ეს კიდევ რა არი, ამას იქითა ნახე შენი ყოფა: ცალი თვალით გაცინებ, ცალით გატირებ. სუ ძირიანად მოგთხრი, ბოლოკივით ამოგაგდებ და რწყილივით გაგსრესავ! განანებ, გა!.. ეჰ რა გელაპარაკო, გითხრა, არ გითხრა—სულ ერთია, მაინც პანტასავით გაგცვივა ნათქვამი. ვერ მოჰდრეკავ კედელსაო, ვერც შეასმენ რეგვენსაო. ზღვას ხმელეთად გადავაქცევ და შენ-კი, ძმავ, ვერ მოგაქცევ. მე იგრევ ის მირჩევნია, ჩემს ციკას ვეჭუკჭუკო, ციკავ! მოდი, დაჯე, ბიჭო, რა აყლაყუდა ბოძივით აჰყუდებულხარ, არ დაიღალე?

ციკა. შენ, წელიწადი თორმეტი თთვეა, მოშლილ წისქვილივითა ჰროშავ, ენა არ გეღლება, და მე რა დამღლის, ბარი არ მიჭირავ ხელში და ნიჩაფი.

სოსანა, მოდი, ნუ მიჰქარავ. მოდი, დაჯე ჩემთან, შენთან სიტყვა მაქვ.

ციკა. დგომელაც კარგა გავიგებ.

სოსანა. მოდი-მეთქი, უხიაკო კერპო! ნუ ხარ ე ჰკვინტაკებიანი, დარდაკი და ჰკვით ღარიბი გლახა: შენ რო გაიგებ, სხვაც გაიგებს და საქმე წახდება. ჰა! მოდი, კარგი; დაეგდე თუ ჰკვასა ხარ, რეტიანო ჯიუტო, თორე ჯანი გაგვარდეს, აღარ გეტყვი და შენ იზარალებ, მე რა დამაკლდება.

ციკა. აჰა! ესაც დავეგდე. აბა მითხარ.

სოსანა. ჰოო, აგრე აი! ნუ ხარ ე ჰკვა-დაბნეული შაუსტვინე—ჩიტირეკია. გულხმიერი და მძიმე იყავ, რო წონაში მოხვიდე. შენ ერთი პატა მადროვე ე ყალიონი გავიჩაღო, და მემრე-კი ბატონი ხარ ბატებისა, მოურავი კატებისა: ყველას გეტყვი ყურში.

შეფიქრიანებული ციკა მოუთმენლად შესცქეროდა სოსანას: რას მეტყვისო. სკოლის ბიჭებმაც ყური ვყარეთ: ნეტა ჩვენც გაგვაგებინა, რას ეტყვისო. მხოლოდ მარტო ნულნულას მოეყრუებინა ყური და მომავალის ტაბლების ტკბილ ფიქრებში ღრმად გართული ყალიონს იკეთებდა ქვების გასაჭრელად.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

შეძლება მიეცათ ამ დარბაზობისათვის დიდ-ძალი წერილი ეძლევნათ. ზოგი გაზეთი იმ აზრისაა, რომ ამ ორის იმპერატორის ერთად შეყრას დიდი საპოლიტიკო მნიშვნელობა აქვსო, ზოგი უარ-ჰყოფს ამას და ამბობს, რომ საერთა შორისო ურთიერთობის მხრივ ამ ამბავს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. მართალის შესატყობად-კი ნამდვილის ამბების ცოდნაც საკმარისია: ეჭვი არ არის, იმპერატორთა მიერ ერთმანეთის ნახვა უფრო განამტკიცებს მეგობრობასა და დაამეზობლებს ამ ორს ძლიერს სახელმწიფოს, მით უმეტეს, რომ ორივე ხელმწიფე, როგორც ვიწყით, მხოლოდ თავისის ერის კეთილ-დღეობის განვითარებისათვისა ჰზრუნავენ და ილვწვიან. მშვიდობიანობის ხელ-შეუხებლივ დაუტოვებლად ხომ შეუძლებელია ყოველივე კეთილ-დღეობა ერისა. რიგიანი მასპინძლობა უფრო დაარწმუნებს ჩვენის სახახლის უავგუსტოესს სტუმარსა და მასთან მყოფთ, რომ რუსეთი გერმანიის ერთან მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრების მოსურნეა, და ასეთი სურვილი-კი, ეჭვი არ არის, მეტად ძვირფასი წინდია მშვიდობიანობის დაურღვევლობისა.

ნარვა. ახლად აშენებულსა და მშვენიერად მორთულ-მოწყობილს ბაქანთან, ბ-ნ პოლოვცევის სახლს ახლოს, 6 საათს შემდეგ დაიწყეს მოსვლა აქ მყოფმა სამხედრო და სამოქალაქო წარჩინებულმა კაცებმა და უმაღლესის საზოგადოების ქალებმა; მოვიდა აგრეთვე ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრნი; შვიდი საათი სრულდებოდა, რომ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მობრძანდა, ხოლო 7 საათსა 7 წუთს ბაქანთან გაჩერდა სამეფო მატარებელი, რომლის ვაგონიდგანაც გადმობრძანდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, დიდნი მთავრინანი მარიამ პავლეს ასული და ელისაბედ თევდორეს ასული, დიდნი მთავარნი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე უფროსი, მიხეილ ნიკოლოოზის ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე, დიდი ჰერცოგი ჰესენისა ჰესენისავე მემკვიდრე პრინციითურთ, ჰერცოგი მეკლენბურგ-შვერინისა. ქალაქის მოურავმა და მას შემდეგ ვაჭრებმა და შტიგლეცისა და კრენჰოლმის სამანუფაქტურო ფაბრიკის მუშებმა ხელმწიფე იმპერატორს მიართვეს პურ-მარილი, ხოლო ქალაქის მოურავის მეუღლემ მშვენიერი თაიგული მიართვა ხელმწიფე იმპერატრიცას. მათნი უდიდებულესობანი ბევრს იქ დამსწრეთაგანს მოწყალედ ელაპარაკნენ. გამოჩნდნენ თუ არა ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, ხალხი დიდის თანაგრძნობით მიესალმა. მათი უდიდებულესობანი დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ ეტლით გაემგზავრნენ პოლოვცევის სახლში და გაიარეს ქუჩა, რომელიც მშვენიერად იყო მორთული და მოწყობილი და რომლის ორივ მხრივაც განუწყვეტელის „ურას“ ხმა გაისმოდა.

რეველი. მოვიდა ხომალდი „Память Азова“, რომლითაც მობრძანდა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე. მოვიდა აგრეთვე გერმანიის ელჩი და იმპერატორის ვილჰელმის ვიბორგის ჯარი დროშითა და მუსიკით.

სტამბოლი. სულთანმა სთხოვა სომეხ მინისტრებსა და სახელმწიფო საბჭოს წევრთ და აგრეთვე სტამბოლში მცხოვრებ წარჩინებულს სომხებს, რომ სომხეთში შემოსაღებ ცვლილებათა პროექტი წარმომიდგინეთო.

ბაქო. დღეს, პარაკლისს შემდეგ, დაიწყო მოქმედება „ვოლგო-ამის“ საკომერციო ბანკმა.

რეველი. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მოსკოვისა და კურსკის რკინის-გზის საგანგებო მატარებლით მობრძანდა დილის 6 საათსა და 20 წუთს და სადგურზედვე დარჩა ვაგონში. დილის $10^1/_2$ საათზედ მისი უდიდებულესობა, სადღესასწაულო პრუსიის მუნდირითა და შავის არწივის ორდენის ლენტით, მობრძანდა გერმანიის იმპერატორის დასახვედრად რეველის ნავთ-საყუდელის ახლად გამართულს ბაქანზედ. აქავე გამწკრივდა ვიბორგის რაზმი ჯარისა დროშითა და მუსიკითურთ, მოგროვდნენ გუბერნიის სამხედრო და სამოქალაქო წოდების წარჩინებულნი მოხელენი და გერმანიის საელჩოს წევრნი გენერალის შვეინიცის მეთაურობით. დილის $11^1/_2$ საათზედ ზარბაზნის ხმამა და სამხედრო ხომალდებზედ გამწკრივებულმა მატროსებმა აუწყა ხალხს, რომ იმპერატორი ვილჰელმი, რომელსაც ზღვაზედ გენერალ-ადმირალი დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე მიეგება, გემ „Hogenzollern“-იდგან ნაპირისკენ მოეშართება. იმპერატორი ნაპირზედ გადმოვიდა ვიბორგის რაზმის მუნდირით, ანდრიას ლენტითა და ქუდით, გადაეხვია დიდს მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს, ჩამოუარა საპატიო ყარაულს, რომლის დროსაც მუსიკა გერმანიის საერო საგალობელს უკრავდა, და მიესალმა ჯარის-კაცებს: «ხომ კარგად ხართ, ვიბორგელებო!» საპატიო ყარაულმა «ურა» დასძახა. იმპერატორს პურ-მარილი მიართვეს ვიბორგის რაზმის აფიცრებმა. შემდეგ ამავე რაზმმა საცერემონიო მარშით გაიარა მის უდიდებულესობის წინაშე. იმპერატორი ყველას „მადლობას“ უხდიდა. მის უდიდებულესობას თან ახლდნენ პრინცი ჰენრიხი პრუსიისა, პრინცი საქსენ-ალტენბურგელი, კანცლერი დე-კაპრივი და ამალა. შემდეგ იმპერატორი დიდის მთავრითურთ ვაგონში გადავიდა და გაემგზავრა რკინის-გზის სადგურზედ. აქ, ოც წუთს შემდეგ, მის უმაღლესობითურთ მოსკოვისა და კურსკის რკინის-გზის სამეფო მატარებელში გადაბრძანდა. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათი იყო, როცა მატარებელი ნარვისაკენ გაემგზავრა. გზა და მთელი ქალაქი ბაირაღებით იყო მოფენილი და დიდ-ძალს ხალხს მოეყარა თავი.

ნარვა. 6 აგვისტო. გუშინ მათის უდიდებულესობათა თანადასწრებით ჩაჰყარეს საძირკველი ალდგომის სახელობაზედ მართლ-მადიდებელ ესტთა ეკკლესიისა, რომელიც კრენგოლმის სამანუფაქტურო ფაბრიკის ხარჯით უნდა აშენდეს. ამავე დროსვე ჩაჰყარეს საძირკველი წმ. დიდის მთავარ ვლადიმირის სახელობაზედ ასაგებ ეკკლესიისა გუნგერბურგში.

საღამოს 7 საათზედ ჯარი გამწკრივებული იყო პოლოვცევის სახლთან, იქვე იდგა საპატიო ყარაული პრეობრაჟენსკის რაზმისა მუსიკითურთ, მოგროვდნენ სამხედრო და სამოქალაქო წოდების მოხელენი, სადიპლომატიო კორპუსის წევრნი და გერმანიის აფიცერნი. შემდეგ ამავე ადგილას მობრძანდნენ იმპერატორის გვარეულობის წევრნი. ხელმწიფე იმპერატორი პრუსიის, მისის სახელის გრენადერთა რაზმის მუნდირში იყო და შავის არწივის ორდენის ლენტი ჰქონდა გაკეთებული. ორივე მეფე გადაეხვივნენ ერთმანეთს. გერმანიის იმპერატორმა ჩამოუარა საპატიო ყარაულს და შემდეგ რუსულად მიესალმა მის უდიდებულესობას. შემდეგ ხელმწიფენი ეტლში ჩასხდნენ და პოლოვცევის სახლში გაემგზავრნენ; იქვე თავ-მოყრილის მკვიდრში დიდი აღტაცებული „ურას“ ხმა გაისმოდა.

პეტერბურგის ბირჟა, 5აგ ვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6, 62 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 133 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 10 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 230 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | $220^1/_2$ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | $214^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |


# განცხადებანი

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—14)

გამოვიდა და ისყიდება გამოცემა „ქართულის საღმრთო წიგნთ-საკითხავისა“

ცხოვრება წმიდისა, მოწყალისა და მართალის

# ფილარეტისა

ფასი წიგნისა ორი შაურია, ვინც ოც გზემპლიარზედ მეტს იყიდის, 20% დაუთმობა.

# კბილი ადარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოვებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.




უოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ჰნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—35)




ტფილისის გამოფენისა




ვერცხლისა.




ოქროსი.

# ЗАВОДЪ

## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

# А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты** и **окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ** и **будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски**, **кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ-დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—13

ოქროს




თამბაქოს ფაბრიკა

მედალი




# ნ. ი. გოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭერილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—7)


Доз. ценз Тифлисъ, 7-го Августа 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე